აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 22

29 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ლევან გაბრიჩიძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“, „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის“ და „ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ‚ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ წარმომადგენლები.

.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

კომისიის წევრმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებამდე მასში შეტანილი ყოფილიყო ცვლილება და დღის წესრიგს დამატებოდა ერთი საკითხი - უმაღლეს საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილების განსაზღვრისა და დანიშვნის წესის შესახებ. მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო კანონმდებლობით უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით დანიშნოს თავისი წარმომადგენლები, აუცილებელია მიღებული იქნას დადგენილება, რომლითაც განსაზღვრული იქნება მათი (წარმომადგენლების) დანიშვნის წესი და უფლებამოსილების ფარგლები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ. მან აღნიშნა, რომ ის არ უჭერს მხარს დადგენილებას ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე - პარტიების მიერ 5%-ანის ბარიერის გადალახვის შემთხვევაში მანდატების განაწილების შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულიყო მომდევნო სხდომისათვის, იქიდან გამომდინარე, რომ დადგენილების პროექტს გაეცნო მხოლოდ სხდომის დროს, რაც მისთვის საკმარისი არ იყო და სჭირდებოდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 1;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილების განსაზღვრის და დანიშვნის წესის შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, პროპორციული სისტემით გასანაწილებელი მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5%-ისა, საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 12-ზე და გაიყოს ასეთი სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. ასევე აღნიშნა, რომ მოცემული წესის მიხედვით პარტიამ, რომელმაც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5%-ისა, შეიძლება ვერ მიიღოს მანდატი უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად. ასევე აღნიშნა, რომ კანონში არ არის განმარტებული თუ როგორ უნდა განაწილდეს მანდატები იმ შემთხვევაში, თუ გასანაწილებული მანდატების რაოდენობა ნაკლებია იმ საარჩევნო სუბიექტების რაოდენობაზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი. მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული ბუნდოვნება აღმოიფხვრას, აუცილებელია მიღებული იქნას შესაბამისი დადგენილება, რითაც დაკონკრეტებული იქნება ხსენებული ბუნდოვნება. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემული დადგენილებით დაზუსტებული იქნება კანონით

დადგენილი მანდატების განაწილების წესი. ასევე აღნიშნა, რომ მოცემული დადგენილებით დაზუსტებული იქნება თუ როგორ უნდა განაწილდეს მანდატები თუ გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა ნაკლებია იმ საარჩევნო სუბიექტის რაოდენობაზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი, მაგრამ ვერ მოიპოვეს მანდატი. ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მისის, ასევე სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება, რეკომენდაციის სახით დაკონკრეტებულიყო კანონში არსებული ბუნდოვნება. სწორედ მათი ინიციატივა და მოთხოვნა იყო ის, რომ ეს საკითხი განსაზღვრულიყო კენჭისყრის დღემდე. ასევე აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ საკითხზე კენჭისყრის დღის შემდეგ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა, მიზანშეწონილია მიღებული იქნას დადგენილება, რომლითაც პარტიებს წინასწარ ეცოდინებათ თუ როგორ ნაწილდება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მანდატები. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა ლევან გაბრიჩიძემ, ანზორ ბაღათურიამ, ირაკლი ჯაშმა, ავთანდილ ჩახვაძემ, ასლან ჩავლეიშვილმა, თამაზ შარმანაშვილმა, დავით რობაქიძემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“ წარმომადგენლებმა.

„ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიესალმებიან აღნიშნული დადგენილების მიღებას, ვინაიდან მოცემული საკითხი საარჩევნო კანონში იყო ბუნდოვანი.

კომისიის წევრმა ლევან გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება აღნიშნული დადგენილების მიღებას, რადგანაც ამით ილახება იმ ამომრჩეველთა ინტერესები, რომლებიც მხარს დაუჭერენ იმ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც ხმათა უმრავლესობას მიიღებს.

კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ ეს დადგენილება მისთვის მიუღებელია, რადგანაც მოცემული დადგენილებით ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ თითო მანდატი მიეცეს იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში, რის საფუძველზეც შეიქმნება

დემოკრატიული არჩევნების იმიჯი. კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ ასევე აღნიშნა, რომ კომისიის რამოდენიმე წევრი არ იყო გაცნობილი დადგენილების პროექტს, რის საფუძველზეც კომისიის წინაშე დააყენა საკითხი დადგენილების პროექტის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების მიზნით მომდევნო სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა თამაზ შარმანშვილმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად აკრძალულია დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 4 დღისა, ამიტომ მოცემული დადგენილების მომდევნო სხდომაზე განხილვა ვერ მოხერხდება გამომდინარე იქიდან, რომ კენჭისყრამდე დარჩენილია 5 დღე.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრების დავით რობაქიძისა და თამაზ შარმანაშვილის მოსაზრებების გათვალისწინებით კენჭისყრაზე დააყენა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დღის წესრიგიდან მოხსნისა და მისი მომდევნო სხდომაზე, ამავე დღის (2008 წლის 29 ოქტომბერი) სხდომის დასრულებიდან ერთი საათის შემდეგ 16 სთ. და 30 წთ. განხილვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრაში ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

2. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილების განსაზღვრისა და დანიშნვის წესის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილების განსაზღვრისა და დანიშნვის წესის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობით, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით დანიშნოს თავისი წარმომადგენლები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის

არჩევნებთან დაკავშირებით, რაზეც აუცილებელია მიღებული იქნას დადგენილება, რომლითაც განსაზღვრული იქნება წარმომადგენლების დანიშნვის წესი და მათი უფლებამოსილების ფარგლები. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენიულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 69-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უსკოს წარმომადგენლებს ნიშნავს და მათ უფლებამოსილების ფარგლებს განსაზღვრავს უმაღლესი საარჩევნო კომისია განკარგულებით.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი. მან

აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით დანიშნოს თავისი წარმომადგენლები 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში და კომისიას წარუდგინა კანდიდატთა სია. ასევე აღნიშნა, რომ უსკოს მიერ დანიშნული წარმომადგენლები უფლებამოსილი იქნებიან თვალყური ადევნონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას, ნებისმიერ დროს შევიდნენ საარჩევნო უბანზე ისე, რომ ხელი არ შეუშალონ კომისიის მუშაობას. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის მდივანმა ქეთევან ჯიქიამ. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა კანდიდატებს აქვთ დიდი საარჩევნო გამოცდილება, ეს ადამიანები დიდი ხანია ჩართული არიან საარჩევნო პროცედურებში - ატარებდნენ ტრეინინგებს ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებულ არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიებში, ამიტომ მისაღებია მათი კანდიდატურები.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 29 ოქტომბრის № 17 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დაინიშნოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო ოლქსა და მასში შემავალ ყველა საარჩევნო უბანზე.

ა) ჟვანია თამარ;
ბ) ქაშაკაშვილი ნათია;

გ) ბერულავა ნინო;
დ) კილაძე ლაშა;
ე) მანჯგალაძე პაატა;
ვ) ზარიძე მაია;
ზ) ჯინჯოლავა დავითი;
თ) ბურდული ვანო;
ი) ზაალიშვილი ზაალი;
კ) გოგრიჭიანი მამია;
ლ) დონაძე ბესარიონ;
მ) გულედანი ბესო;
ნ) ლაშხია ლაშა;
ო) დავითაძე მაყვალა;
პ) ჩაკვეტაძე ლევან;
ჟ) კირვალიძე კოტე;
რ) ჯორბენაძე ირაკლი;
ს) ჯიმშერაძე ბადრი;
ტ) ქორჩილავა თეა;
უ) ხუჯაძე შოთა.

2. უსკოს წარმომადგენლებმა იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის და უსკოს ინსტრუქციების შესაბამისად (უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შევიდნენ საარჩევნო ოლქისა და უბნის შენობაში, სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უსკოს. უსკოს წარმომადგენლებს არ აქვთ კომისიის მუშაობაში ჩარევის უფლება).

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 29 ოქტომბრის №17 დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია